№ 115

ხუთშაბათი, 1 ივნისი, 1900 წ.

**გაზეთის ფასი:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

1877—1900

# ივერია

№ 115

ხუთშაბათი, 1 ივნისი, 1900 წ.

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

**გაზეთის დასაბარებლად** და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციის და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიის

**ფასი განცხადებისა:** ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 16 კაპ, მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

ქ. ქ უ თ ა ი ს შ ი

ექიმი გაბრ. იოს.

**გოკიელოვი**

იღებს ავადმყოფებს დილ. 9—12ს., საღამ. 5—7 საათ. ტფილისის ქუჩა, ლევან ქურთიშილის სახლი, № 20.

(40—140—37)

კვირას, 4 ივნისს,

კომიტეტი ალექსანდრეს სამასწავლებლო ინსტიტუტის დამხმარებელ საზოგადოებისა

გაჰმართავს მუშტაიდში

**სახალხო სეირნობას ბაზრითურთ.**

დასაწყისი ნაშუადღევის 2 საათზედ.

ბაღში შესვლა 20 კაპ. ეღირება.

თუ ცუდი ამინდი იქმნება, სეირნობა შემდეგ კვირისთვის გადაიდება.

(3—უ.—1)

**ქუთაისის ჰაკვეცემულ საზოგადოების საყურადღებოდ.**

ჰურჰლეულობისა და ავეჯეულობის სავაჭრო მაღაზია ნ. ა. საბაევისა და ფ. ს. ფილიპოვისა ქ. ქუთაისში 1 ივნისიდგან გადატანილ იქმნება ახლად აგებულ თავად ალფონს თუმანიშვილის შენობაში. გიმნაზიისა და ალექსანდრეს ქუჩების კუთხე, ბულვარის პირდაპირ. (30—6.—13)

**მოლოროსსები.**

საზაფხულო თეატრი და ბაღი.

ხუთშაბათს, 1 ივნისს, 1900 წელს წარმოდგენილი იქმნება ოპერეტტა

**პოშილის უ დურნა**

კომიკ. ოპერეტტა 3 მოქ. თხზ. კროპივნიცკისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ორლიკი, დონსკაია, ბ-ნნი სუხოდოლსკი, მარჩენკო, საბინინი, მირსკი, კირილენკო, გოლიადნიკოვი. კაცებისა და ქალების ხორო.

დ ა ს ა ს რ უ ლ

**„დენშჩიკ პოდველ"**

1 მოქმედ. ვოდევილი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი სერგეევისა, ბ-ნნი ვალენტინოვი, ლეონტიევი, ალექსანდროვი.

დასაწყისი საღამოს 9 საათზედ.

დირექტრისა ა. ა. ორლიკი.

რეჟისორი ა. ა. სუხოდოლსკი

**პირველი კერძო სამკურნალო**

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**ზ. ა. ნავასარდიანი,** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9—10 საათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაგანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა და ცხვირის ავადმყოფობისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი** 1—1½ საათ. შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

**ა. ნ. შპაკოვსკი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა) ვენერიულისა და კანის ავადმყოფობისა.

**ზ. ა. ნავასარდიანი.** 7½—8 საათ.

**მ. მ. მახვილაძე**—ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმების დანიშვნით.

**დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.**

**Первая частная лѣчебница *Д-ра Навасардіана.***

**Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.**

**ტფილისის კერძო სამკურნალო**

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

დ ი ლ ი თ:

**ვ. ი. ჟიჟინაძე.**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**ზ. ზ. მაღალაშვილი**—შინაგანი—9—10 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი,** კბილის სნეულებანი, 10—2—მდის.

**მ. ა. პოკროვსკი**—შინაგანი, ბავშვებისა, ბავშვებისათვის ყვავილის აცრა და ქიმიო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი 10—11 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—11—12 საათ.

**ნ. ტ. მულინი**—ყურისა, ყელისა და ცხვირისა—11—12 საათ.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 12—1 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი**—12½—1½ საათ. სადოსტაქრო.

**ი. დ. გეგთაგეგოვი**—სიფილისის, კანისა და საშარდესი—1½—2 საათ.

საღამოთი:

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი—5—6 სასაათ.

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები და კაბინეტი ბაქტერიოლოგიურ და მიკროსკოპიულ გამოკვლევათათვის.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი—4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

**საჭიროა მოსამსახურე,**

რომელმაც ქართულ-რუსული წერა-კითხვა უთუოდ უნდა იცოდეს. ადრესი: „ივერიის" რედაქცია, ნიკოლოოზის ქუჩა, № 21. (3—2)

რადგანაც 28 მაისს დანიშნული წლიური საერთო კრება „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელის საზოგადოების" წევრთა არ შესდგა, წევრთა საკმაო რიცხვის დაუსწრებლობის გამო, ამიტომ, საზოგადოების მე-15 §-ის თანახმად, კრება ხელმეორედ დანიშნულია 4 ივნისისათვის, დილის 11 საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო დარბაზში.

განსახილველია შემდეგი საგნები:

1, წლიური ანგარიში საზოგადოების მოქმედებისა 1899 წლისა.

2, მოხსენება სარევიზიო კომისიისა ამ ანგარიშის შესახებ.

3, სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავლისა 1900 წლისათვის.

4, არჩევანი საზოგადოების ახალის წევრებისა. (3—უ.—2)

## შემოწირულება

„ქ. შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების" სასარგებლოდ გამართულ ბაზრობას შესწირეს:

მარიამ ვახტანგის ასულმა ჯამბაკურ-ორბელიანისამ—გულის ოქროს მედალიონი და ორი ოქროს ჟეტონი; კლავდია ვასილის ასულმა სერებრიაკოვისამ—ვერცხლის ოქროში მოსევადებული ჭიქის ჩასადგმელი თავისივე კოვზით, ვერცხლის ჩაშკა თავის ლამბაქით და კოვზით და ვერცხლის სარძევე; დეკანოზმა ღამბაშიძემ—სხვა-და-სხვა ქართული წიგნები, 20 მანეთად ღირებული; კნ. ვაჩნაძისამ—მოქარგული ბალიში; ოლგა თოფურიძისამ—ორი ნაკერი ბალიშის პირი და ჩარჩოში ჩასმული სურათი; მაგდალინა მიხეილის ასულმა გურგენიძისამ—ორი ბროლის ჭიქა და სასუხრე; ფილიპე გურულმა—ჯვრის ლამფა; ბარბარე მიხეილის ასულმა გიგაურისამ—სამი ხავერდზე ნაკერი საპორტფელე; ნინო იოსების ასულმა თოხაძისამ—ნაკერი ბალიში; მა-

# ფელეტონი

## გულ-ახდილი მუსაიფი ზოგიერთ საჭირ-ბოროტო საქმის გამო

(ჩვენის ახალგაზრდობის საყურადღებოდ)

1896 წელს „კვალში" წერილი დ ვბეჭდეთ იმის შესახებ, არის თუ არა საჭირო მკურნალები სოფლად. წერილში ვწერდით, რომ სოფლებს ძლიერ ესაჭიროება მკურნალები, მაგრამ თუ იმათი მდგომარეობა უზრუნველ-ყოფილი არ იქმნა, ძნელია მეთქი მკურნალების სოფლებში გაჩერება. ვწერდით იმასაც, რომ ზოგი სოფლები, როგორც ქვემო-მაჩხაანი, სიღნახის მაზრისა და სოფ. დიდი ჯიხაიში, ქუთაისის მაზრისაა, კარგად შესძლებენ ექიმის შენახვას გადაწყვეტილის ჯამაგირით. გვინდოდა გვეჩვენებინა ჩვენის საზოგადოებისათვის, რომ კერძო ქსენონების დაარსებით სოფლები შეჰქმნიან საკუთარს საქმეს, რომლის პატრონები თვითონვე იქმნებიან-მეთქი. მას აქეთ ოთხმა წელმა განვლო და თან-დათან ვრწმუნდებით, რომ სოფლებს ექიმები მეტად ესაჭიროება, მაგრამ ექიმების მისაზიდავად, საჭიროა მაზრები დაიყოს პატარ-პატარა საზოგადოებად (1500—2000 კომლი მაინც უნდა იყოს თითო საზოგადოებაში) და დააარსონ საკუთარი ქსენონები. ამ საგანს შემდეგ დავუბრუნდებით, ჯერ-კი ცოტაოდენი რამე ვთქვათ ქვემო-მაჩხაანის კერძო ქსენონის გამო.

ქვემო-მაჩხაანი ქიზიყშია, რომელიც აკრავს სიღნაღს ჩრდილოეთის მხრივ. ქიზიყი შეადგენს მაჩხაანის საბოქაულოს და შესდგება 9 საზოგადოებისაგან, რომლებშიაც სულ 18 სოფელია. საბოქაულოში 6761 კომლია, მამაკაცთა რიცხვი 20,023, დედაკაცთა 16,998, სულ 37,021. საკვირველია აქ მამაკაცთა რიცხვის გადაჭარბება დედაკაცების რიცხვზედ. საქართველოში ეს საზოგადო მოვლენაა, თუმცა ძნელი ასახსნელი-კია. შეიძლება ითქვას, რომ კაცები უფრო სცოცხლობენ, რადგან ისინი დღესაც შედარებით მეტს მზრუნველობას იწვევენ მშობლებისაგან, ვიდრე ქალები. ეს ძველის დროის ჩვეულებაა, როდესაც ვაჟს მეტს ყურადღებას აქცევდნენ, რადგან ბრძოლისათვის გამოსადეგი იყო. მაგრამ მხოლოდ ამ მიზეზით არ აიხსნება მამაკაცების რიცხვის მეტობა დედაკაცების რიცხვთან შედარებით. საზოგადოდ შემჩნეულია და სტატისტიკურადაც დამტკიცებული, რომ ვაჟები და ქალები თანაბრად იბადებიან, ხანდახან ვაჟი მეტობს კიდეც, მაგრამ ვაჟი პატარაობისას უფრო სუსტია და პატარაც არის ტანით და სიკვდილი ვაჟთა შორის უფრო ხშირია ვიდრე ქალთა შორის. მერე-კი ორივეს რაოდენობა თანასწორდება იმითი, რომ ქალს დაორსულება, დედობა სხვა-და-სხვა ავადმყოფობას უჩენს და სიცოცხლეს ასალმებს. საზოგადოდ მთელს დედამიწაზედ ქალების რიცხვი ჰმეტობს კაცების რიცხვს. მაჩხაანის საბოქაულოში ხშირად შეხვდებით ძლიერ დასახლებულ სოფლებს. მაგალითად, ზემო-მაჩხაანში 700 მოსახლეა, ბოდბის-ხევში—925, ანაგაში—787, ქვემო-მაჩხაანში—407 და თითქმის ამ გვარადვეა დასახლებული სხვა სოფლებიც.

მშვენიერს სურათს წარმოადგენს მაჩხაანის საბოქაულოს სოფლები, რომლებიც ერთი მეორეს ბაწარსავით გადაჰბმიან და კარგის გზებითაც შეერთებულან. ხალხიც საზოგადოდ შეძლებულია. ქიზიყელები ბატონყმობას აცილებულნი ყოფილან ძველად, თავისუფალს საზოგადოებას შეადგენდნენ და ქართველ მეფეთაგან დავალებული ჰქონდათ პასუხი გაეცათ ლეკებისა და სპარსელებისათვის, რომელნიც ბედკრულის საქართველოს მეტად ხშირი და მსუნაგი სტუმრები იყვნენ. ამ გარემოებამ დაამჩნია კიდეც თავისი ჯერ შეუშლელი კვალი ქიზიყელებს. იგი დღესაც გაუტეხელი და მამაცი ხალხია და თუმც ზრდილობასა და მოდებულს თავაზიანობას ვერა ჰნახავთ მათ შორის, თუმცა ტლანქნიც არიან, მაგრამ ის სამარცხვინო თვისება არა აქვთ, რომელიც შედეგია მონობისა. უფრო პირდაპირნი და გულ-ახდილნი არიან და ამასთანავე მეტად მიმყოლი საზოგადო საქმისა. ცხადია, ეს შედეგია წარსულის ისტორიულ ცხოვრებისა და მეტად კარგ თვისებად უნდა ჩავთვალოთ.

ამ თვისებას ასე განვითარებულს ვერა ჰნახავთ საქართველოს ვერც ერთ კუთხეში; ეს საზოგადო საქმის მოსიყვარულე ხასიათი შეჰქმნის ისეთს ნიადაგს, რომელზედაც ბევრის საქმის გაკეთება შეიძლება. ეს თვისება რომ ქართველობის საზოგადო კუთვნილება ყოფილიყო, მის ბედს ძაღლიც არ დაჰყეფდა. ქიზიყელი წარსულმა ცხოვრებამ, მტერთან მუდმივმა ბრძოლამ და შინაურმა დამოუკიდებლობამ შეჰქმნა მამაცად, გულ-გაუტეხელად და ამასთან საზოგადოებრივ მისწრაფებით უფრო აღსავსედ. ამისათვის ქიზიყელი თავისს პირადობას არავის არ შეალახვინებს და ამ ღირსებას დიდად აფასებს. საზოგადოებრივი მისწრაფებაც საკმარისი აქვს, ოღონდ მცოდნე და საზოგადოების მისწრაფების კარგად შემთვისებელი კაცები სჭირია. ამ მხრივ ჩაუკვირდით კარგად ქართლელს, კახელს, იმერელს, გურულს და იმ არა-სასიამოვნო დასკვნას დაადგებით, რომ მტერთან მუდმივი ბრძოლა არ არის ხალხის ხასიათის გამტეხი; ამ ხასიათის დამაბეჩავებელი ისევ ჩვენებური ფეოდალური წეს-წყობილება ყოფილა, შინაურების შინაურებზე ხშირი გაჯიროთება. სწორედ ეს გარემოება იყო მიზეზი, რომ დაუბეჩავდა ხასიათი კახელს, ქართლელს, იმერელს და გურულს და ეს მონური ბორკილი დღესაც არ დამსხვრეულა ჩვენში.

ქიზიყელების უფრო დამოუკიდებელი ხასიათი, თან საზოგადო საქმის მოყვარე და სიყვარული ძვირფასი თვისებაა, მაგრამ, საუბედუროდ, სა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიამ მიხეილის ასულმა საფაროვ-აბაშიძისამ—რამდენიმე მშვენიერი სხვა-და-სხვა ნივთი; გრეგუარმა—რამდენიმე სხვა-და-სხვა ნივთი; ზაქარია ბერიძემ—საკვლიაჟი; ნიკოლოზ ივანეს ძე ვაჟიკაშვილმა—ათი ბოთლი ღვინო; სტანისლავ ჩარახჩიანმა—ჩვიდმეტი სხვა-და-სხვა ნივთი; ბ-ნმა ლაზარევმა—ათი სხვა-და-სხვა ნივთი; ბ-ნმა ალშვანგმა—ცამეტი სხვა-და-სხვა ნივთი; ბ-ნმა დიტიატკოვსკიმ—უბის წიგნები, კარანდაშები და სხვა-და-სხვა საბავშო წიგნი.

## ახალი ამბავი

⁂ ბელგიის უსახელო საზოგადოებას უკვე გაუთავებია მოლაპარაკება „გელიოსი“-ს საზოგადოებასთან, რომ ელექტრონის ტრამვაისათვის ელექტრონის ცენტრალური სადგური აგოს ტფილისში.

⁂ უმაღლესად ნება-დართულია რომ 3 წლის განმავლობაში საზღვარ-გარეთიდგან მეღვინეობისათვის საჭირო თესლეულის დედა უფასოდ შემოიტანონ ხოლმე.

⁂ მამა დავითის მთაზე დიდი სწორი ადგილი ნაჭერ-ნაჭრად დაუყვიათ და ისე ჰყიდიან საავარაკოებად; ბევრი კიდეც უყიდნიათ მსყიდველები უმეტეს ნაწილად მოხელენი არიან.

⁂ სენატის ბრძანებით, 14 მაისიდგან, განმარტებულ იქმნა, რომ გუბერნატორს ნება არა აქვს თავისის უფლებით ქალაქის საბჭოს მიერ ამორჩეული კაცი არ დაამტკიცოს, თუნდაც არჩევანის დროს საბჭო უკანონოდ მოქცეულიყოს და ახალი არჩევანი მოსთხოვოსო. ამ შემთხვევაში გუბერნატორი მოვალეა საგუბერნიო საერობო და ქალაქის საქმეთა საკრებულოს მოახსენოს და მხოლოდ ამ უკანასკნელს შეუძლიან არჩევანი უკანონოდ იცნოს და განმეორებით დანიშნოს არჩევანიო.

⁂ ივნისის პირველ რიცხვებში პეტერბურგიდგან ტფილისში დაბრუნდება კავკასიის მთავარმართებლის კანცელარიის დირექტორი დეისტ. სტ. სოვეტ. სანდრიგაილო.

⁂ სასახლის ქუჩის კომერსანტებს ტფილისის საკომერციო სასწავლებლის ღარიბ მოსწავლეთა სწავლის ფულის შესატანად 1,000 მან. გადაუდვიათ და პირობა დაუდვიათ ყოველ წლივ ამდენი გაიღონ ხოლმე აღნიშნულის აზრით.

⁂ დიდუბეში მცხოვრებთ ქალაქის გამგეობისათვის შემდეგი შუამდგომლობა წარუდგენიათ: 1) ანდრეევისა და ელისაბედის ქუჩა ეხლავე მოკირწლონ, შეაერთონ გორისა და ტრამვაის ქუჩებთან, გაუკეთონ ტროტუარები და სხ., ასე რომ ქალაქთან და ვოკზალთან მიმოსვლა შეიძლებოდეს; 2) საბალოსნო სკოლის მახლობლად ელისაბედის ქუჩაზედა ან-და ანდრევის ქუჩაზედ მეორე წყლის მილი დაიდგას; 3) რამდენსამე ადგილას ცეცხლის ჩასაქრობი კრანი გაკეთდეს და 4) ელისაბედის ქუჩაზედ საბალოსნო სკოლისა და ქალაქის სანერგეს შუა პოლიციის 2 საყარაულო დაარსდეს; თავისს მხრივ დიდუბის მცხოვრებნი პირობას აძლევენ ქალაქს, რომ ყოველისავე ამის შესრულებაში ჯეროვანი დახმარება აღმოუჩინონ.

⁂ საერო განათლების სამინისტროს უკვე დაუმზადებია პროექტი იმის შესახებ, რომ სახალხო მასწავლებელთ პენსია დაენიშნოთ. ამ პროექტით პენსია მიეცემა იმ მასწავლებელთ, რომელნიც 25 წელიწადს იმსახურებენ.

⁂ ამიერ კავკასიის რკინის გზის უფროსი ე. ვ. ვედენეევი პეტერბურგიდგან ტფილისს გუშინ წინ, 30 მაისს დაბრუნდა.

⁂ კავკასიის გზათა სამმართველოში სამსახური ამ ზაფხულის განმავლობაში დილის 8 საათიდგან დაიწყება და პირველ საათზედ გათავდება.

⁂ ამ ზაფხულს საბალოსნო გამოფენას რუსეთის საბალოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილება ქ.ქ. ბათუმსა და ბაქოში გამართავს. მალე გამოფენის გამმართველი კომიტეტებიც შესდგება.

⁂ როგორც „ცნობ. ფურც.“-ი სწერს, ორის წლის წინად დაარსებული ამიერ კავკასიის ფარმაცევტთა სააფთიაქო საქონლით მოვაჭრე ამხანაგობა ფირმით „პროვიზორი ილია სოლომონის ძე ალხაზიშვილი და ამხ.“ უკვე შესდგა თურმე და მალე დაიწყებს მოქმედებას. ამხანაგობას აზრადა აქვს აწარმოვოს სააფთიაქო საქონლით ვაჭრობა და კარგის თვისებისა და ხელსაყრელ პირობებით მიაწოდოს საჭირო წამლები და სხვა და სხვა საოჯახო საქონელი ამხანაგთ, მეაფთიაქეთ, აფთიაქების, მაღაზიების პატრონთ და აგრეთვე კერძო პირთ. ამის განსახორციელებლად ამხანაგობა აარსებს ტფილისში წამლების საწყობსა და პროვინციაშა მის განყოფილებებს. ამხანაგობის პაი 50 მან. ღირს.

⁂ ამ 1900 წელს ჯარის-კაცად გაყვანილ იქმნება ტფილისიდგან 720 კაცი (ამათგან ქრისტეანი 676 კაცია, ებრაელი 21, მაჰმადიანი 5 კაცი, მწვალებელი 18). ამათ შორის პრივილეგიის მქონე კაცი სულ 97-ია; ოჯახურ შეღავათისა 1-ლის ხარისხისა 149 კაცი; მეორისა—43 კაცი და მესამისა—2 კაცი.

ყველა ეს ცნობები შინაგან საქმეთა სამინისტროს გაეგზავნება.

⁂ ქუთაისის სამხედრო გუბერნატორი შორაპნის მაზრის უფროს ნეტკაჩევსა და ამავე მაზრის ექიმს ტერლეცკის საყვედურს უცხადებს იმის გამო, რომ დ. ჭიათურაში თვე ნახევარი საშინელი გადამდები სენი იყო გავრცელებული და დროზედ უმაღლესს საგუბერნიო მთავრობას არ აცნობესო.

⁂ ქალაქის პირველ დაწყებითს საჰწავლებლებში წლიური გამოცდა გუშინ 31 მაისს დაიწყო.

⁂ მოსწავლეთა გამოცდა წინამძღვარიანთ-კარის სამეურნეო სასწავლებელში დაიწყება შაბათს, 3 ივნისს.

⁂ ტფილისის სასულიერო სემინარიში გამოცდა 27 ამ თვეს დამთავრდა. კურსი დაამთავრა 56 ყმაწვილმა კაცმა; მათ შორის 44 ქართველია, 8 რუსი, 1 ოსი და 3 ბერძენი, აი ამათი გვარი და სახელი:

ანთაძე ალექსანდრე, ანჯრეევსკი ივანე, ახმეტელაშვილი ივანე, ბარბაქაძე სიმონი, ბოგოტირიოვი ვლად. გვასალია მიხეილ, გლაგოლევი ივანე, გოგიაშვილი პოლ., გოროდინსკი ვლადიმირ, გლებოვსკი თედო, დვალი ნესტორ, ჯავახიშვილი გიორგი, დოლიძე გიორგი, ირემაშვილი იოსები, კასრაძე ვლადიმერ, კეკელიძე კორნელი, კანდელაკი ზენიამინე, ქორიძე ერეკლე, უუბალოვი ივანე, კარბელაშვილი ფილიმონი, ლაფერაშვილი თეოფილე, ლიაძე სამსონ, მუდროჩი იასონ, მოისწრაფეშვილი ზიგასკი, მაჭარიშვილი კოტე, მჭედლიშვილი სამსონ, მეგრელიშვილი თომა, მჟავანაძე ილია; მიხაილოვი კოტე, მურანოვსკი გრიგოლი, ნატროშვილი სვიმონ, ნასყიდაშვილი გრიგოლი, ნავროცკი ალექსანდრე, ფანცხავა დიომიდე, ფანჯიკიძე მიხეილი, სირბილაძე ერმოლოზ, სონაძე გიორგი, სეფაშვილი რომანოზ, სიტიროვი ვასილ, სახტაროვი ხარლამპი, ობიგაძე მეგენი, ობრაზცოვი კოტე, ხახანაშვილი ვასილ, ხუადაგიძე ზაქარია, ხაბაზიშვილი ივანე, ტოროშელიძე სამსონ, თხინვალელი ქიტო, თაყაიშვილი კოტე; ციბაძიშვილი გიორგი, ცაგარელი კოტე, ცინცაძე თედო, ჩხენკელი გიორგი, ჩუქურაშვილი ისაკი, შუბლაძე ილია, შავარდნაძე იოსებ, ელიზბარაშვილი მიხეილ.

ამათგან სასულიერო აკადემიაში სახელმწიფო ხარჯით ორს გზავნიან კორნილ კეკელიძეს და ივანე ანდრიევსკის.

⁂ წრეულს ტფილისის სათავადაზნაურო სკოლაში სწავლა დაამთავრა სულ ჩვიდმეტმა კაცმა, მათ შორის თერთმეტი ქართველია, ორი თათარი, ორი სომეხი, ერთი ლეკი და ერთი ბერძენი; აი ქართველების გვარები: გ. აროშიძე, ა. ჩხაიძე, თ. ჩიჩუა, დ. ჯაბუტი, ს. კანდელაკი, ნ. პარკაძე, ი. ზვიადაძე, ი. ბრეგაძე, ქ. კოშლატაძე, ვ. გვიჟიანაძე და ვ. თოხაძე.

## უცხოეთი

### ინგლის-ტრანსვაალის ომი.

ნემეცურ გაზეთების უმრავლესობა სამხრეთ-აფრიკის ომს „ტრანსვაალის ტრაგედიას ეძახის, ხოლო იმის, რაც ამ ჟამად აფრიკაში ჰხდება, ამ ტრაგედიის უკანასკნელ მოქმედებას; მაგრამ, შეიძლება, ეს უკანასკნელი მოქმედება უფრო ხანგრძლივი და მწვავე გამოდგეს, თუ ბურებმა მართლაც გადასწყვიტეს, ომი არ შესწყვიტონ და ბრძოლა განაგრძონ. ინგლისელებმა აიღეს მთავარი ქალაქები ტრანსვაალისა—იოჰანესბურგი და პრეტორია. დეპეშებმა თუმცა გადმოგვცეს ამ ქალაქების დაჭერის ამბავი, მაგრამ დაწვრილებით არ შეგვატყობინეს უეჭველად შეტაკება ორ მოწინააღმდეგის ჯარის შორის; ასეთი შეტაკება-კი არა ერთი და ორი ყოფილა, როგორც ეხლა გამოირკვა. ბურებს, მაგალითად, დაუმარცხებიათ ერთ ადგილას ინგლისელების ჯარის ერთი ნაწილი, იომანრებად წოდებული. სხვაგანაც ბევრგან დაუმარცხებიათ ბურებს, რასაკვირველია, წვრილ-წვრილი რაზმები ინგლისელებისა, მაგრამ რობერტსის მთავარ ჯარისთვის ვერ შეუბედნიათ შებმა, რადგანაც იმისათვის საკმაო ჯარი არა ჰყოლიათ.

— პრეტორიიდგან გასვლის დროს ბურებს ამ ქალაქში რამდენიმე მიტინგი გაუმართავთ. ერთს მიტინგს 10,000 კაცი დასწრებია. სიტყვები წარმოუთქვამთ, სხვათა შორის, ბურების ჯარის მთავარ-სარდალს ბოტას და გენერალს დეუტ მეიერს. როგორც ამათ, აგრეთვე ბურების სხვა წინამძღოლთ თავიანთ სიტყვებში ის აზრი გაუტარებიათ, რომ ომი უნდა განაგრძოთო. წინააღმდეგი არავინ გამხდარა ამ აზრისა და ბოლოს მიტინგს დაუდგენია, განაგრძონ ომი.

**ჩინეთი.** ჩინეთი თან და თან უფრო იქცევს ევროპისა და ამერიკის ყურადღებას. „დიდის მუშტის“ სექტამ ლამის არის ჩინეთის საქმეები სულ ერთიან გადაატრიალოს. ათას ადგილას დათარეშობენ თურმე „დიდის მუშტის“ ბრბოები. რკინის გზები და ტელეგრა-

---

ქართველი უკაცო ქვეყანაა და ქიზიყში საიდგან იქნებიან ნამდვილი კაცები. ეს უწინდელი რაინდები მხოლოდ დღესა ჰკიდებენ ხელს სწავლა-განათლებას და ამისათვის თუ მაგალითებრ, ქუთაისის გუბერნიის ყოველს სოფელში ჰნახავთ ორიოდე დიპლომიანს, აქ სრულიად ვერ შეჰხვდებით. აქაური თერგ-დალეული უეჭველია მეტს სარგებლობას მოუტანდა საზოგადოებას, რომლის საუკეთესო საზოგადოებრივს თვისებას უეჭველად არც ქიზიყელი თერგდალეული დაჰკარგავდა. ქიზიყში მხოლოდ ერთი-ღა ინტელიგენტი ყოფილა დღემდე და ამ ერთმა კაცმაც დ. მაჩხანელმაც თავისი კვალი დასტოვა. მაჩხაანის დეპო მისი შექმნილია და თუ დეპოს საქმე ვერ წავიდა კარგად ამისი ბრალი ბ-ნს მაჩხანელს არ დაედება. იმისთანა დაწესებულება, როგორიც დეპოა, მეტადრე კახეთში, დიდმნიშვნელოვანი დაწესებულებაა და ბ-ნი დ. მაჩხანელი, როგორც ამ იდეის განმახორციელებელი, თანაგრძნობის ღირსია. ხოლო თუ საქმე ცუდად წავიდა, გამოკეთებას დიდის დროს და მხნეობის დახარჯვა უნდა. ეს იმიტომ, რომ საზოგადოდ ჩვენ თეორეტიკები ვართ და პრაქტიკულის ცხოვრებისა-კი არა გვესმის რა. სხვა გარემოებაში და სხვა დროს კარგი თეორეტიკობაც სასარგებლო იქმნება, მაგრამ როდესაც გვერდით იმისთანა ხალხი ამოგვტუზვია, რომელმაც პრაქტიკული ცხოვრება ადრე იგემა, გამოცდილება ბევრი მოიპოვა, ძნელია ლელოს გატანა.

დაარსდა მაჩხაანის დეპო თუ არა, სომხებმა მაშინვე გვერდში გაუმართეს დეპოს საწინააღმდეგო ვაჭრობა, ფასები ძლიერ დასწიეს, თითონაც იზარალეს, მაგრამ დეპო მაინც დააუძლურეს. ამ გვარი მოქმედება სომხებისას აქართველოში თვალ-საჩინოა. ყოველივე ეს კიდევ არ მოხდებოდა მაგრამ ქართველი უცბად არ შეიქმნა ვაჭარი. ვინ არ იცის, რომ ჩვენში ვაჭრობა თვალთ-მაქცობაა, მოტყუება, ყოველგვარი ეშმაკობა და გაიძვერაობა, რასაც ევროპიული ვაჭრობა ვერც-კი წარმოიდგენს. ამისათვის რად უნდა გვიკვირდეს, რომ დეპომ ვერ გაამართლა ჩვენი იმედი, არა მარტო მაჩხაანში, ბევრგან სხვაგანაც. მაგრამ დ. მაჩხანელმა მაინც დიდი მხნეობა მოანდომა ამ საქმეს. კარგად გვახსოვს, რა დიდი ძალ-ღონე დასჭირდა ამ ერთს კაცს ქიზიყში და სრულიად ამ გვარ საქმისათვის მოუმზადებელი ქიზიყელები დაიყოლია. დიდად სამწუხარო კია, რომ გაცრუვდა იმედი პირველად შექმნილის საზოგადო დაწესებულებისა. ეს რომ არ მომხდარიყო ქიზიყში, უფრო ადვილათ გაუკეთესდებოდა ბევრი სხვა საზოგადო საქმე.

მაგრამ შარშანდელმა ქიზიყელების მოქმედებამ დაგვარწმუნა კიდევ, რომ ქიზიყს უნდა ორიოდე შეგნებული კაცი და ის მზად იქმნება ყოველ კარგ საქმეში მიჰყვეს ადამიანს. კარგი საზოგადო საქმე არის კერძო ქსენონის დაარსება ქიზიყში.

ეს საქმე შეჰქმნა ორმა კაცმა, მაჩხაანის ბოქაულმა თ. ნ. ერისთავმა და დ. მაჩხანელმა. მაჩხაანის საზოგადოება დიდი ხანია ჰგრძნობდა ექიმის საჭიროებას. სახელმწიფო სამსახურის სამაზრო და სასოფლო ექიმებმა საკმარისად ჩააფიქრა ხალხი, რადგან სიღნაღიდგან ექიმები არ მიდიოდნენ 4—6 ვერსის მანძილზედ 10—15 მანეთ ნაკლებად. ამასთანავე ეტლის ფული ხუთი მანეთი იყო გარდაწყვეტილი, რომლის ნახევარი მაინც ექიმებს რჩებოდათ. ამ გვარად ექიმები უფრო კომერციულ მოსაზრებით იყვნენ გამსჭვალულნი, ვიდრე კაცთ-მოყვარეობით. 1893 წელს შემხვდა მაჩხაანში ყოფნა. როგორც სტუმრად მოსული ახალი ექიმი, ვცდილობდი „უცნობად“ დავრჩენილიყავი, მაგრამ მასპინძელმა გამცა და მეორე დღესვე აუარებელი ხალხი დამესია. განცვიფრებულთ ხალხის ამ გვარ საქციელით მაშინვე მოვილაპარაკეთ მე და დ. მაჩხანელმა მაჩხაანში კერძო ქსენონის დაარსებისა და ქართველ ექიმის მიწვევის შესახებ. დღეს ყველას სასიამოვნოდ უკვე არსებობს მაჩხაანში კერძო ქსენონი თ. ნ. ერისთავის და დ. მაჩხანელის ეოხებით. ქსენონი ქიზიყელებმა 12 აგვისტოს 1899 წელს ტფილისის გუბერნატორისა და გუბერნიის ექიმის თანდასწრებით გახსნეს. საინტერესოა ცოტაოდენი რამ ვთქვათ ამ საქართველოში პირველი კერძო ქსენონის გამო.

ქსენონს ინახავს 5,600-მდე კომლი. ძლიერ დაშორებული კომლი ქსენონიდგან 5—6 ვერსის მანძილზეა. თითო მოსახლეს ხვდა 50 კ. ამ ნაირად, 3000 მ. ცოტა მეტი ფული ინახავს ქსენონს ერთის ექიმით, ორის ფერშლით, ამასთანავე ქსენონს აქვს საკუთარი აფთიაქი, რომელიც კარგად აკმაყოფილებს 6,000-მდე კომლს. შემდეგი ცნობები გვიმტკიცებს, რამდენად დიდი მოთხოვნილება არის ექიმობისა; 1899 წლის 12 აგვისტოდგან, (ქსენონის დაარსების დღეა) 1900 წ. პირველ იანვრამდის სამკურნალოდ მისულა 7226 ავადმყოფი, პირველი იანვრიდგან ამ წლის პირველ მარტამდის ყოფილა 4176 ავადმყოფი. ამ ნაირად დღეში მოდის ქსენონში 80—100 ავადმყოფი და ეს გარემოება უძნელებს ერთს ექიმსა და ორს ფერშალს საქმეს. ამის გამო საზოგადოებამ გადასწყვიტა იყოლიოს მეორე ექიმიც, თუ ამ საქმეს კარგი გამძღოლი შეხვდა, საზოგადოება მზად არის ორი ექიმი მიიწვიოს, უნდა კიდეც ჰქონდეს, რიგიანად მოწყობილი საავადმყოფო. ოღონდ ეს არის უბედურება, რომ ქართველი ექიმი ვერ მიიზიდა სოფელმა, კერძო სამსახურმა. იგი რაღაც სიამოვნებით გაურბის თავისს სამშობლოს და უცხო ქვეყნებს ეტანება, სადაც ვერ იძენს ვერც დიდებას, ვერც ქონებას, არცა აქვს ექიმობისათვის საჭირო უპირველესი საქმარი—ენის ცოდნა, რომელიც ცოტაოდენს ნაკლულევანებას არ შეადგენს ექიმობისას. ენა აახლოვებს ექიმს ავადმყოფთან, აჩენს მათ შორის სულიერს კავშირს და ეს

ფის მავთულები ხომ თითქმის ყველგან დაუწყვეტიათ. უმთავრესი ამ საქმეში ის არის, რომ, როგორც ამ ბოლოს დროს გამოირკვა, მთავრობა თანაუგრძნობს ამ მოძრაობას და საიდუმლოდ დახმარებასაც უწევს „დიდის მუშტის“ ბრბოებს. მრავალი ქრისტიანი მოჰკლეს ჩინეთში ამ „დიდის მუშტის“ მომხრეებმა. პეკინიდგან 16 მილის მანძილზედ ამოსწყვიტეს მთელი სამი ოჯახი ქრისტიანეთა. ჩანგ-ნზინ-ტინში, სადაც მრავალი ფრანგი სცხოვრობს, მეამბოხეთ გაძარცვეს და დასწვეს სახლები. მცხოვრებლებმა ძლივს მოასწრეს მთებსა და გორებში გახიზვნა და იქ დამალვა.

## წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ საშუალება მომცეთ „კვალის“ მე-21 №-ში მოთავსებული სრულიად გადამახინჯებული ამბავი ქუთაისის „სააზნაურო საქმეების“ შესახებ შევასწორო და, რამდენადაც შესაძლებელია, სიმართლე აღვადგინო: არც მე, არც კიტა აბაშიძეს ისეთი არა გვითქვამს-რა, რასაც „ჩვეულებურ“, ნამაღავ საშუალებით ბრალად გვდებს „კვალის“ რედაქცია, რომელიც, თავის გასამართლებლად, იმოწმებს ვითომ „ცნობის ფურცელის“ 13 და 14 მაისის ნომრებს. მაგრამ იმის დასამტკიცებლად, თუ რამდენად სამართლიანად, მიუდგომელად ირჯება ამ შემთხვევაში „კვალის“ რედაქცია, მოვიყვანოთ სიტყვა-სიტყვით ორსავე გაზეთში მოხსენებული ამბავი.

„კვალი“ სწერს:

„ერთად ერთმა ბ. ლოლუამ განაცხადა, რომ განათლებულთათვის არავითარი ცენზი არ არის საჭირო და პირდაპირ მივუშვათ კრებაშიო. ამის წინაალმდეგ ამხედრდა თ. კიტა აბაშიძე, რომელმაც განაცხადა: „უმაღლეს განათლებით (საშუალო განათლება გამოურიცხავს!) აღჭურვილთ ცენზი შეუმცირონ მარტო 50 ან 100 დესეტინით და სხვა-კი ისე დარჩესო“, ე. ი. ჭკუა-გონება საკმარისი არ არის საქმეების გადასაწყვეტათ, საჭიროა კიდევ ქონებაო“! ხოლო თ. ნ. თავდგირიძემ სრულებით საჭიროდ არ სცნო ცენზის შემცირება, მან სთქვა: „თავად-აზნაურთა მაზრის კრებას თვით მიეცეს უფლება თავისი კეთილი წევრები თავისი არჩევნებით სცნოს ღირსათ გუბერნიის კრებაშიდ მონაწილეობის მიღებისაო“ ე. ი. ცენზი, როგორც არის ისე იყოს, ხოლო ახალი წევრების მიღება ისევ ჩვენ მოგვანდევითო“. აი ასე შეხედეს ამ კითხვას ორმა განათლებულმა ახალგაზდა თავადებმა, რომელნიც არა ერთხელ გვეფიცებოდნენ, რომ „კვალს“ არ სჯერა, თვარა ჩვენ დიდი დემოკრატები ვართო“ და სხვა...

ეხლა ვნახოთ ის „ცნობის ფურცელი“, რომლიდგანაც, როგორც გვარწმუნებს „კვალის“ რედაქცია, უნდა ამოეწერათ ეს ცნობები:

„8 მაისს (ე. ი. 13 მაისის „ცნობის ფურცელშია“ ეს ამბავი დაბეჭდილი) ქუთაისის აზნაურობას ცენზის შესახებ მსჯელობა არ გაუგრძელებია: რადგანაც ეს კითხვა თითქმის ყველა სხვა რთულ საქმეების შემდეგ იყო მოხსენებული და ამიტომ კრება ყურადღებით ვერ მოისმენდა, უმრავლესობა დაეთანხმა კიტა აბაშიძის აზრს, რომ „ეგრეთი მძიმე საგანი, როგორც ცენზის შემცირების საქმეა, უნდა კარგად იქმნას განსჯილი, კარგად დასაბუთებული და შუამდგომლობა საფუძვლიანი უნდა წარვადგინოთო“ და შემდეგი დღისათვის გადაიდვა უფრო გულ-დასმით, ყურადღებით მოსასმენად.

მეორე დღეს მართლა გრძელი კამათი გამართა ამ საგნის შესახებ, მაგრამ არც მე და არც ბ-ნი კიტა აბაშიძე წინააღმდეგი არ ვყოფილვართ ცენზის შემცირებისა. ამის დასამტკიცებლად და „კვალის“ „სამართლიანობის“ გამოსარკვევად ამოვწერ იმავე „ცნობის ფურცლის“ სიტყვებს, რომლითაც ვითომ-და უსარგებლია „კვალს“.

„ლ. თ. ლოლუა (ცნობ. ფურ. 14 მაისი): რაიცა შეეხება განათლებულს ნაწილს ჩვენის საზოგადოებისას, მათთვის სრულიადაც არ უნდა იქმნეს საჭირო ქონებრივი ცენზი, ხოლო რაიცა შეეხება ჩინოვნიკობას და სხვებს, მათთვის ცენზის შემცირება არ უნდა ვითხოვოთ. ჯერ სამას კაცზედ მეტი არა ვართ და ეხლაც ვერ დაგვიცავს წესიერება კრებაში, ამას რომ მოემატოს რაღა იქმნება! გამოცდილებამ ევროპის ქვეყნებისამ დაგვარწმუნა, რომ გ ა უ ნ ა თ ლ ე ბ ლ ო ბ ა (?!) კი არ არის იმისი ბრალი, კრებებში რომ უწესოება ხდება, არამედ მრავალ-რიცხოვნობა. ინგლისისა და საფრანგეთის და სხვა განათლებულ ქვეყნების პარლამენტში სულ დიდი 800 კაცზედ მეტი არ არის, ყველა ფრიად გ ა ნ ა თ ლ ე ბ უ ლ ი (?!), მაგრამ ისეთი ჩხუბი მოხდება ხოლმე, რომ ჩვენ კრებებშიაც არ მომხდარა მზგავსი რამე.

ეს სწორედ კრების სიმრავლის ბრალია და ამიტომაც ჩვენთვის მეტი ი ქ მ ნ ე ბ ა ვ ი თ ხ ო ვ ო თ ც ე ნ ზ ი ს შემცირება (?!), რადგან ამით კრება მრავალ-რიცხოვანი შეიქმნება და უწესოება ჩამოვარდება კრებებში“ (?!).

აი ეს გახლავთ „კვალის“ ერთად-ერთი ლოლუე, რომელმაც ცენზის შემცირება ითხოვა განათლებულთათვის; ეხლა ვნახოთ, რა უთქვამს ბ-ნი კიტა აბაშიძესა და ნიკო თავდგირიძეს:

თ. კ ი ტ ა ა ბ ა შ ი ძ ე (იგივე „ცნობის ფურ.“ 14 მაისი): გუშინ „პრინციპო“-ო ბრძანეს და კინაღამ ერთხმად მიღებულად აღიარეს ეს წინადადება, დღეს-კი ამდენი კამათი გამოიწვია. მაშ მართალი ვყოფილვარ, რომ ვსთქვი—საგანი მძიმეა და დაკვირვება უნდა მეტქი. ყველა განათლებული ქვეყნები ცდილობენ, რაც შეიძლება გაამრავლონ არჩევნების უფლებანი და ამიტომ ჩვენთვისაც სავალდებულოა ეს კეთილი მისწრაფება. მართალია, ბევრი თავისი ნაკლი აქვს ამ არჩევნების უფლებათა გაფართოებას, რომლებიც აქ დაგვისახელეს ბ.ბ. ქორჩაქიძემ და ლ ო ლ უ ა მ (?!), მაგრამ ადამიანს ისეთი არა შეუქმნია-რა, რომ ღირსებასთან ნაკლულევანებაც არ დაჰყოლოდესო“; თუ ოცი და ოც-და-ათი დესეტინა ცოტაა და მთავრობა, როგორც ეტყობა მის შეხედულებას უკანასკნელ ხანებში, ცენზის ნამეტნავად შემცირებაზედ არ დაგვეთანხმება, სულ უარს ნუ ვიტყვით და 50 ან 100 დესეტინა მაინც ვითხოვოთ განათლებულთათვისო“.

„ თ. ნ. თ ა ვ დ გ ი რ ი ძ ე: უნდა ვითხოვოთ,—თავად-აზნაურთა მაზრის კრებას თვით მიეცეს უფლება თავისი კეთილი წევრები თავისი არჩევნებით სცნოს ღირსად გუბერნიის კრებაში მონაწილეობის მიღებისა“.

მე არა თუ არა ვყოფილვარ ცენზის შემცირების წინააღმდეგი, კრებას ვურჩევდი სრულიად ცენზი ნუ იქნება საკვალდებულო წევრებისათვის, თუ-კი სხვა მხრივ: გონებრივ განვითარებითა და ზნეობრივ თვისებებით ისინი სასურველნი და სასარგებლონი იქმნებიან საზოგადოებისათვის-მეთქი. ასეთი წესი შეიძლება დამყარდეს მხოლოდ არჩევნების შემწეობით. ნუ იქნება ცენზი სრულიად გარდაწყვეტილი (ადგილად შეიძლება განათლებულსა, დიდად პატიოსანსა და საზოგადოებისათვის სასარგებლო წევრს მომავალში 20 დესეტინაც არა ჰქონდეს), ვთხოვოთ უმაღლეს მთავრობას (რაგი კანონ-მდებლობით უნდა შეიცვალოს ეს წესი), რომ ყოველ მაზრის სათავად-აზნაურო კრებას მიეცეს ნება არჩევით, თუნდა სრულიადაც არა ჰქონდეს ცენზი, მაგრამ საზოგადო საქმეებისათვის სასურველი და სასარგებლო თავადი ან აზნაური მიიღოს თავისს წევრად-მეთქი. მე არ გამიგიდი განსაკუთრებით უპირატესობას მარტო უმაღლეს განათლებას: თუ-კი გამოსადეგი და საზოგადოებისათვის სასურველი იქმნება, შინაური ნასწავლი კაცის მიღებაც შეიძლება საზოგადოებასა-მეთქი: უპირატესობას ვაძლევდი საზოგადო ცხოვრებისათვის სასარგებლო ზნეობრივ თვისებას. განათლებულ გვართა შორისაც, ჩვენდა სამწუხაროდ, ხშირადა ვხედავთ მავნებელ წევრს საზოგადოებისას. არჩევანი ერთად-ერთი საშუალებაა, რომლითაც საზოგადოებას შეეძლებას მისცემს დაიცვას თავისი ღირსება, ასცილდეს მავნე წევრებს და შეგნებულად, გონივრულად მოეპყრას თავისს საერთო საქმეს. თუმცა ჩემი აზრი სანაახევროდაც არ არის მოყვანილი „ცნობის ფურცელში“, მაგრამ რაც არის იქ მოთხრობილი, არც იქიდგან სჩანს, რომ მე ცენზის შემცირების წინააღმდეგ მეთქვას რამე. საიდგან გამოიტანა „კვალის“ რედაქციამ, რომ ვითომ მე „სრულებით საჭიროდ არ გსცანი ცენზის შემცირება“. ყველა მიხვდება, რომ „კვალის“ რედაქციას და მის „სულის ჩამდგმელს“ რაღაც მტრობა და „ჯიბი“ აქვთ ჩემსა და ბ-ნს კიტა აბაშიძის წინააღმდეგ. ამას გარდა, ნათლადა სჩანს, რანაირის უსამართლო მიდგომ-მიმხრობით ჰხელმძღვანელობს „კვალის“ რედაქცია: ბ-ნი ლოლუა, რასაც მისი სიტყვაც ამტკიცებს, წინააღმდეგი იყო ცენზის შემცირებისა. თუმცა ერთ ადგილას, სიტყვის დასამშვენებლად, არის ნათქვამი რომ განათლებულთათვის სრულიად არ არის ცენზი საჭიროო, მაგრამ შემდეგ ქვევით უარს ამბობს ამაზედაც და საერთოდ ყველასათვის წინააღმდეგია ცენზის შემცირებას: „ჩვენთვის მეტი იქნება ვითხოვოთ ცენზის შემცირებაო“... ამისდა მიუხედავად „კვალის“ რედაქციამ პროგრესსიულ აზრის დაცვის სურვილი მიაკუთვნა ბ-ნს ლოლუას, მე და ბ-ნს კიტა აბაშიძეს-კი, თუმცა პრინციპიალურად ამ პროგრესსიული აზრის საწინააღმდეგო არა გვითქვამს-რა, თავზედ მოგვახვია ისეთი სიტყვები, რომელიც არც-კი გვიფიქრია. რა დავარქვათ ასეთ საქციელს?! საკვირველია განა ეს?! მერე, ერთი და ორი შემთხვევა-კი არ არის ასეთი, თითქმის ყოველ კვირის № ში ჰნახავთ ასეთ მაგალითებს. არ შევეხები ბ-ნს კიტა აბაშიძეს: როგორც ჩვენი ჟურნალ-გაზეთების თითქმის მუდმივს თანამშრომელს, ხშირად აქვს შემთხვევა სხვათა შორის, გავკვრით მოიხსენიოს „კვალის“ რედაქციისა და მისის თანამშრომლების ურიგო, უსამართლო საქციელი; მე-კი გარემოებით, მოკლებული ვარ ასეთს შემთხვევას და ამიტომ ერთად-ერთი საშუალება დამრჩენია: ქართველ მკითხველების წინაშე მოვითხოვო „კვალის“ რედაქციისაგან, გამოიკვლიოს სიმართლე, როგორც „ცნობის ფურცელში“ მოთავსებულ სიტყვების შედარებით ისე გერმოთაც, და თუ ჩემ მიერ კრებაზედ წარმოთქმულ სიტყვებში ცენზის შემცირების წინააღმდეგ არა იპოვა-რა, თავისსავე გაზეთ „კვალში“ ბოდიში მოისადოს. წინააღმდეგ შემთხვევაში დარწმუნებული ვიქნები, რომ „კვალის“ ფაქტიურს რედაქტორს ბ-ნს ნოე ჟორდანიას რაღაც პირადი ანგარიში აქვს ჩემთან და ამიტომ სარგებლობს ყოველის შემთხვევით, რომ ცილი დამწამოს და უსამართლო ბრალი დამდოს, გამლანძღოს, და ვეცდები სხვა გზით დავიცვა თავი ჩემის უსამართლოდ და უსაფუძვლოდ საქვეყნოდ მაგინებელისაგან.

ნიკო თავდგირიძე

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

30 მაისი *)

**კიევი.** სამხრეთ-დასავლეთ რუსეთში დიდი შიში აქვთ მოუსავლობისა უწვიმობისა გამო; მიწა მთლად გადამხმარია, მინდვრები ჩაყვითლებუ-

*) ეს დეპეშა თვის დროზედ არ მოვიდა ტფილისში.

---

დღევანდელ სამეცნიერო ექიმობასთან შედარებით უებარი წამალია. მაგრამ ხშირად, საუბედუროდ, საზოგადო ენის ცოდნაც ვერ ჰშველის, თუ ექიმის გული ბუნებით ტლანქი და უგრძნობელია. ამ მხრივ მაჩხაანის ქსენონის მკურნალი თ. ალექსანდრე დიასამიძე მართლა საყურადღებოა, თანაგრძნობისა და მიგ ძვის ღირსია. ამ ექიმის თავაზიანი და გულწრფელი მოქცევა ავადმყოფებსა და მცხოვრებლებთან, მეტად თავ-დაბალი ხასიათი მართლაც საყურადღებოა და ქიზიყელებიც, გარეგნობით ტლანქი და უგრძნობელი, აფასებს და უფრო დააფასებს მართლა ამ ადამიანურს ექიმს. ამ გვარი ექიმი ქალაქებშიაც საჭიროა მაგრამ სოფელში ხომ აუცილებელს საჭიროებას შეადგენს. დღეს ჩვენი იმედი უფრო სოფელია და სოფელში თუ არ გამრავლდნენ გულ-წრფელი, ადამიანის მოსიყვარულე ნასწავლი კაცები, საზოგადო საქმე ვერ წავა კარგად, ისე მოიდგა ფეხი ჩვენში ერთი მეორეს უნდობლობამ და ამის გამო ერთი მეორეს მიუყოლებლობამ. ქიზიყი-კი მართლა საუცხოვო ნიადაგს წარმოადგენს მოღვაწეთათვის. აქ ქსენონის გარდა, ბევრი სხვა საქმეც არის გასაკეთებელი და ჯერ ცხოვრებისაგან გაუფუჭებელი ქიზიყელიც მზად არის ყოველ კარგ საქმისათვის, რადგან უფრო საზოგადოებრივი ადამიანია ის, ვიდრე სხვა კუთხის ქართველობა. მაჩხაანის საზოგადოება ეძებს ექიმს, რომელიც თ. ალექსანდრე დიასამიძესთან ერთად უნდა ემსახუროს საზოგადოებას. საზოგადოება მზად არის მისცეს მათ ყოველი საჭირო მასალა და ქონებითაც უზრუნველ-ყოფილი გახადოს. მზად არის დააარსოს საავადმყოფო, რომელიც იქნება მაგალითი სხვა კუთხეების ამ გვარისვე დაწესებულებისათვის. მზად არის მისცეს ექიმებს საშუალება დრო-გამოშვებით იმოგზაურონ საზღვარ-გარეთაც სამეცნიერო ექიმობის უკეთესად შესწავლისათვის, რაც სახელმწიფო სამსახურში მყოფთ მხოლოდ ნატვრად აქვთ.

სხვა საზოგადო საქმეც ბევრია გასაკეთებელი ქიზიყში. ძლიერ მეინტერესებოდა ქსენონის საქმე და ექიმის თ. დიასამიძის მიერ ავადმყოფების მიღებას ვესწრებოდი. ზოგმა ავადმყოფობამ მიიქცია ჩვენი ყურადღება. ამ გვარი ავადმყოფობა შეუძლებელია იქ, სადაც ადამიანი წელიწადში რამდენჯერმე მაინც დაიბანს ტანს აბანოში. ქიზიყელი იშვიათის შემთხვევისა გარდა, ტანს თავისს სიცოცხლეში თითქმის არ იბანს, პერანგს იცვლის მაშინ, როდესაც ერთიანად შემოეხევა ტანზედ. ამასთანავე ქიზიყში საქონლების მოშენებას მისდევენ და ამისათვის მწყემსური ცხოვრება აქ შესამჩნევია. ხშირია კიდეც ამისათვის ცხოველებიდგან გადმოტანა ადამიანზედ სხვადა-სხვა გვარის თავისა და კანის სნეულებისა, რომელიც იშვიათია იქ, სადაც უფრო სუფთად სცხოვრებენ. ამისათვის მეტად სასარგებლო სანიტარული ღონისძიება იქმნება, თუ ქიზიყელები საზოგადო აბანოს დააარსებენ. მაგრამ შეუძლებელია ერთი საზოგადო აბანო ყველას ეყოს. კარგი იქმნება თუ ქვემო მაჩხაანში გამართავენ საზოგადო აბანოს იმ სიდიდისას, რომ ქვემო მაჩხაანსა, ზემო მაჩხაანსა და ბოდბის ხევს ეყოს. ან შეიძლება ბოდბის ხევმა საკუთარი აბანო აიშენოს, რადგან აქ მცხოვრებთა რიცხვი 1000 აღემატება. მერმე შეიძლება სხვა სოფლებმაც წაჰბაძონ. აბანო უნდა აკმაყოფილებდეს შედარებით მაინც ჰიგიენურ და სანიტარულ მოთხოვნილებას და ეს გარემოება უფრო მიმზიდველ მაგალითად იქმნება სხვა სოფლებისათვისაც. თორემ ერთის აბანოს დაარსება მთელის ქიზიყისათვის არა კმარა, რადგან 5—6 ვერსზედ მყოფი ქიზიყელი დაიზარებს აბანოში წასვლას და ეს სხვაფრივაც მოუხერხებელია. ამ მხრივ მთელი კახეთი გასაკიცხია. კარგი მაგალითი ქალაქებსაც ესაჭიროება. თელავშიაც ვერა ჰნახავთ კარგს აბანოს, სიღნახში, რომლის მცხოვრებთა რიცხვი 8,000 აღემატება, სრულიად არ მოიპოვება აბანო. ქიზიყს იმისთანა ალაგი უჭირავს, ისე მჭიდროდ არის დასახლებული, რომ ერთი რამე სასარგებლო საქმის დაწესება ერთ ალაგას, უეჭველად იპოვის მიმბაძველთაც. ეს ცხადად დაგვიმტკიცა მაჩხაანში ქსენონის დაარსებამ. ამ საქმემ მით უფრო იპოვა მიმბაძველები, რომ ხალხი დარწმუნდა,—სახელმწიფო ქსენონები უფრო ფორმალურ-კანცელიარულია და არ აკმაყოფილებს ხალხის მოთხოვნილებას. სიღნახის მაზრაში სხვა საზოგადოებებიც კავშირდება, რომ კერძო ქსენონები დააარსონ. ოღონდ ეს არის სამწუხარო, რომ კახეთი ინტელიგენტებით ძლიერ ღარიბია და ამ საქმეს გაძღოლა უნდა, თორემ იქაურები, ქუთაისის მცხოვრებლებთან შედარებით, უკანასკნელთა სამარცხვინოდ, უფრო მოყვარულნი არიან ასეთ საზოგადო საქმისა. ქიზიყს მიჰბაძა თელავის მაზრამაც, უნდათ დააარსონ კერძო ქსენონები და განაჩენიც შეუდგენიათ იყალთოში, რომელიც 8 ვერსზეა თელავიდგან, ვაჩნაძიანში (21 ვ.), წინანდალში (8 ვ.) და სხვაგანაც აპირობენ ასეთ განაჩენის შედგენას. მხოლოდ საჭიროა ქართველმა ახალგაზდა ექიმებმა თვალები გაალონ, ტყუილა უბრალოდ სიტყვების რახა-რუხს თავი დაანებონ და შეუდგნენ ნამდვილს საქმეს, ჩვენშივე დარჩნენ და ხალხისა და თავისთვისაც სასარგებლოდ იმოქმედონ. თორემ სამარცხვინოა მუდამ იდეალებისა და დედა-აზრების შესახებ ლაპარაკის შემდეგ სადღაც ერევნისა და ბაქოს მიყრუებულ სოფლებისკენ გადავარდნა. დღეს ის დრო აღარ არის, როგორც ამ 8 წლის წინად იყო,—როდესაც სოფლებში მხოლოდ მარჩიელები სწამდათ. ეხლა თან-და-თან გავრცელდა ექიმების რწმენა სოფლებში, ფასიც დაედო ექიმებს, მაგრამ საუბედუროდ ჩვენ ვერ ვამართლებთ ხალხის იმედებს.

ე. ვაშაკიძე

(შემდეგი იქნება)

ლი, ბალახი მთლად მოიტრუსა. საშინელი ქარებია. მემამულენი სასოწარკვეთილებაში არიან. ბევრი ვენახი სრულიად მოსცდა.

**ტიან-ძინი.** პირველი მატარებელი დღეს წავიდა პეკინს. თან წაიყვანა 650 ინგლისელი, 100 ამერიკელი, 40 იტალიელი 25 ავსტრიელი, რომელთაც წაიღეს ერთი გოჯისის ზარბაზანი და მრავალი სხვა იარაღი. მეორე მატარებელში 600 ჯარის-კაცი იყო—რუსი, ინგლისელი, იაპონელი და ფრანგი.

**განსფლეი.** ბულლერის ჯარები ტრანსვაალისა და ორანჟის რესპუბლიკის საზღვარზეა. რვა მილის მანძილზედ ბულლერს წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ ბურებმა მაშინვე უკან დაიხიეს, როგორც-კი საქმეში ინგლისის მძიმე არტილერია ჩაერია. ნაგსფლეესთან ბურებმა კვლავ გაუწიეს წინააღმდეგობა.

**პარიჟი.** მეფე ჰუმბერტო ივლისის პირველ რიცხვებში მობრძანდება პარიჟში, მეფეს ახლდება ნეაპოლიტანის პრინცი.

**პეკინი.** უწესოება არ შეწყვეტილა. ჩინელი ჯარის-კაცნი ქუჩაში თავს დაესხნენ ბელგიის საელჩოს მდივანსა და სცემეს. ტუნჩჟოუში ამერიკელების მისსიას ცეცხლი წაუკიდეს. ჯარები რკინის გზასთან იკრიბება. გერმანიამ ჯარები გააძლიერა ტიანძინში; ამ ჟამად ტიანძინიდგან რამდენიმე ასი გერმანელი ჯარის-კაცი მოდის. ამათ გარდა 1,450 ჯარის-კაცი კიდევ სხვა მოდის ევროპის სხვა-და-სხვა სახელმწიფოსაგან. ამერიკელთა სამისსიონერო სახლში 40-მდე ადგილობრივი ქრისტიანე მოუკლავთ.

**შანხაი.** ტიანძინიდგან პეკინამდე რკინის გზას საჩქაროდ აკეთებენ უცხო სახელმწიფოთა ჯარების მფარველობით, რომელთაც თან ზარბაზნებიცა აქვთ. გაათავებენ თუ არა სამუშაოს ჯარების მომეტებულს ნაწილს პეკინში გაგზავნიან.

**ლონდონი.** ბულლერი იუწყება, რომ ჩვენი ჯარები ახლა მდინ. კლიპსა და განსფლეიზედა სდგანან და მტერს, რიცხვით 3,000 კაცს, ხელი შევუშალეთ, რომ გასავალი ადგილი დაეჭირათო. სამხრეთ-აფრიკის სუბუქს ცხენოსანს ჯარსა და მეორე ცხენოსანს ბრიგადას ომი ჰქონდათ. ექვსი მოკლულია ინგლისელთაგან, 7 დაჭრილი.

**ლონდონი.** ოფიციალურად. 24 მაისს რედევალთან ბრძოლა მოხდა. დერბიშირის მე-4 ბატალიონიდგან 15 ჯარის-კაცი იქმნა მოკლული და 2-იც აფიცერი; ტყვედ წაიყვანეს 71 ჯარის-კაცი და 5 ოფიცერი. 25 მაისს მეტუენს გეილბრონიდგან 10 მილით სამხრეთით ბრძოლა მოუხდა

**კაპშტადტი.** კრონშტადტის ჩრდილო-მხარესთან მისვლა-მოსვლა შეწყვეტილია. დერბიშირის მე-4 ბატალიონიდგან მხოლოდ 6 კაცი გადარჩა.

**პეკინი.** ახლად გამოცემულ ბრძანებით სამხედრო გუბერნატორი მოვალეა ქუჩებში მშვიდობიანობა ცხენოსანისა და ქვეითა ჯარის საშუალებით დაიცვას. ქუჩა, სადაც საელჩოა, ხალხით სავსეა, რომელიც მუდამ მზად არის ბოროტი საქმე ჩაიდინოს. საქმის ხი ძლიერ შეშინებულია, რადგანაც დღითი-დღე „დიდი მუშტის“ მოძრაობა თან-და-თან ძლიერდება, თუმცა ჯერ-ჯერობით დუქნების დარბევას არ შესდგომიან. იმპერატორი და იმპერატრიცა საზაფხულო სასახლიდგან დაბრუნდნენ, რაიცა კარგის ნიშნების მომასწავებელია. ინგლისის ელჩმა მეტოდისტების მისსიის დასაცველად ჯარი გაჰგზავნა, სადაც შეიკრიბნენ ყველა მიმართულების პროტესტანტები, 12 ზღვაოსანი და სხ. ამერიკის საელჩომ 20 ზღვაოსანი გაჰგზავნა.

**ტიან-ძინი.** ტიან-ძინსა და პეკინს შუა დეპეშების გზავნა შეწყვეტილია. ყველა ჩრდილო რკინის გზებზედ ჩინეთში მიმოსვლა შეწყვეტილია. რადგანაც ვიცე-კოროლმა ნება-რთვა არ მისცა პეკინში მესამე საგანგებო მატარებელი გაეგზავნათ, ჯარები თავისით ჩასხდნენ ვაგონებში, მაგრამ ჩინელმა მაშინისტმა სულ სხვა მხარეს წაიყვანა ლოკომოტივი, დანარჩენმა რკინის გზის მსახურებმა-კი ლიანდაგი აჰყარეს. მაშინ უცხო სახელმწიფოთა ჯარის-კაცებმა ჩინელნი თოფის შუბებით გაჰფანტეს და ლოკომოტივი ხელში ჩაიგდეს. როდესაც ვიცე-კორོლმა შეიტყო ეს, ნება დაჰრთო, მატარებელი გაეგზავნათ. შუადღისას მეოთხე მატარებელი იქმნა გაგზავნილი, რომელმაც წაიყვანა 20 რუსი ორი ზარბაზნით, 62 ფრანგი საგზლითა და ერთის ზარბაზნით ბრიტანიის რაზმისათვის. უცხო სახელმწიფოთა ჯარები ახლა პეკინიდგან 40 მილის მოშორებით ლანრანთან იკრიბებიან.

**ვენტერსდორპი.** დღემდის 250 ბურმა დაჰყარა იარაღი და ჩაგვაბარა. კლერსდორპთან ბანაკი თან-და-თან ცალიერდება. ბანაკის დამორჩილებას დღე-დღეზედ მოელიან.

**ლონდონი.** როგორც ოფიციალურის დეპეშიდგან სჩანს, კუმასის გასანთავისუფლებლად მიმავალს ჯარს ბურებმა წინააღმდეგობა თურმე გაუწიეს. აჯანყებულები მოიგერიეს, მაგრამ რაზმი იქამდის დასუსტდა, რომ წინ წასვლა ველარ შეეძლო. რაზმი უკან დაბრუნდა. აჯანყებულებს სხვებიც უერთდებიან.

**პარიჟი.** დეპუტატთა პალატაში დელკასსემ შემდეგი პასუხი მისცა კომენის კითხვაზედ: „რაც უნდა იყოს ამ უწესოებისა და არეულობის მიზეზი, ის მაინც ცხადია, რომ იგი დღეს ყველა უცხოელისათვის საშიშია. თითონ პეკინში ჰყავთ იმათ თანამგრძნობელნი, რომელნიც მხოლოდ შესაფერს დროს უცდიან, რომ ამ მოძრაობაში მონაწილეობა მიიღონ. ამ ჟამად უკვე მიიღეს ღონისძიება სახელმწიფოთა საელჩოებმა, რომ ჩინეთის მთავრობას დაბეჯითებით ჩააგონონ, თუ რამდენად საჭიროა საჩქაროდ იქმნას შეწყვეტილი ეს მოძრაობა, რომელიც იმპერიასა და მისს ინტერესებს საშიშს მდგომარეობაში აგდებს. თუ რომ ამ მოწოდებამ თავისი არ გაიტანა, მაშინ სახელმწიფოთ ერთი-ღა დაჰრჩენიათ—თავიანთს თავს თითონ უპატრონონ. სამწუხაროდ ჩინეთის ჩრდილო ნაწილი ერთად-ერთი ადგილი არ არის, რომელიც ამ ჟამად ჩვენს ყურადღებას იპყრობს. ამ წინაზე ასეთივე მოძრაობა სამხრეთ ჩინეთშიც იჩინა თავი. მთელმა ქვეყანამ იცის, რომ უნაყოფო ქვეყნების დაპყრობის სურვილი არ გვამოქმედებს“. (ტაშის ცემა მარცხნივ და ცენტრიდგან).

**ლონდონი.** ოლდერშოტში საშინელის სიცხეებისაგან 300 ჯარის-კაცი გახდა ავად. ოთხი გარდაიცვალა.

**პარიჟი.** მინისტრთა საბჭოში ლანესსანმა განაცხადა, რომ საიგონში 600 საზღვაო ჯარის-კაცი მივიდა ჩინეთში მყოფ ჯარის მისაშველებლადაო.

**ბერლინი.** კრეისერი „გეფიონი“ ტაკუში მივიდა. საიმპერიო სეიმმა საბოლოოდ მიიღო პროექტი საბაჟო და სხვა გადასახადების მომატებისა და კანონი ფლოტის შესახებ.

**პეკინი.** ძუნგ-ლი-იამენში ცვლილებები ხდება: ერთი წევრი სამსახურიდგან გადადგა; წევრებად დანიშნულ იქმნენ ოთხი მანჯურელი, ოთხივე კონსერვატორია; პრინცი ჯინი, ერთად-ერთი წევრი იყო, რომელიც უცხო ქვეყნის საქმეებს იცნობდა; იმის მაგიერ იამენის თავმჯდომარედ დანიშნულ იქმნა პრინცი ტუანი, მამა მემკვიდრე პრინცისა და მომხრე „დიდის მუშტისა“.

**მასსერუ.** იუწყებიან, რომ ვითლეემის ოლქში 7,000 ბური ა. ი. როოიკრანცში უკანასკნელად მომხდარ ბრძოლის დროს მოკლულ იქმნა ჯარის უფროსი ოლივიე და სასიკვდილოდ დაიჭრა მეორე უფროსი დევილიერი. პრეზიდენტი შტეინი წარსულ კვირას ბურების ბანაკში იყო ვითლეემს. 1500 ბური გენერალ ბრაბანტს დაემორჩილა.

**მეფკინგი.** პირველი მატარებელი სამხრეთიდგან ღამე მოვიდა.

**ლონდონი.** ბულლერის დეპეშა: გილიარდმა იერიშით აიღო ალმონდენი, ეს უკანასკნელი მთის გასავალი კარლსტაუნთან. მტერი მრავალრიცხოვანი იყო და რამდენიმე ზარბაზანი ჰქონდა. ინგლისელებმა ასამდე კაცი დაჰკარგეს.

**კონსტანტინეპოლი.** სულთანმა სამხედრო მინისტრს წინადადება მისცა ყოველივე ღონისძიება იხმაროს, რომ ოსმალო-სერბიელთა საზღვარზედ რაიმე შეტაკება არ მოუხდეთ. სამხედრო მინისტრმა ყოველივე ეს სერბიის ელჩს აუწყა. სერბიის ელჩმა წინადადება შეიტანა, ალბანიის მოსაზღვრე ჯარები ინგლისელებით შესცვალონ და განაცხადა საზოგადოდ, რომ სერბიის მთავრობა თავისს მხრივ ყოველს ღონისძიებას იხმარსო.

31 მაისი

**ტიან ძინი.** უცხო სახელმწიფოთა ჯარი შეუდგა რკინის გზის შეკეთებას ლოფუსა და ლანგფონგის შუა. წავიდა მეხუთე მატარებელი სურსათით ინგლისის ჯარისათვის. საფრანგეთისა და ინგლისის სამხედრო გემები ტაკუში მოვიდნენ.

**ლონდონი.** კელლი-კენი იუწყება ბლუმფონტენიდგან: „7 ივნისს არავითარი ამბავი არ მომსვლია მეტუენისაგან, რომელიც 6 ივნისს ფეხტკოპის ჩრდილოეთით ბრძოლაში ჩაითრიეს“. პრეზიდენტი შტეინი დაბა რეიცის მახლობლად არის, ლინდლეის აღმოსავლეთით.—ვრედში გაგზავნილ ინგლისის ტყვეებს კარგად ეპყრობიან. ინგლისის ჯარმა, რომელიც ჩრდილოეთით მიდის, გონინგსპრუიტს მიაღწია, სადაც ბრძოლა ჰქონდა ბურებთან. ხვალ დილით რკინის გზასთან მივლენ. კნოკო კრონშტადტიდგან წავიდა, რომ ბურებს გადაეღობოს.—ბულლერი დეპეშით იუწყება: „მე ფოლკსრუსტიდგან 4 მილის მანძილზედ დავბანაკდი. ბურები გაეცალნენ ლენგსნეკსა და მაიუბის გორაკებს. კლერის დივიზია ლენგსნეკზედ გადის. აქ უწყლობისა გამო დავბანაკდით.“

**აკრა.** ცუდი ხმები გავრცელდა: განსათავისუფლებლად გაგზავნილი ჯარი პრასთან აშანტიებს შეხვდა, რომელნიც ძლიერს პოზიციაზედ შეგროვილიყვნენ. კოკისპირულმა წვიმამ ხელი შეუშალა პრასის სამხრეთით მყოფ ჯარს, წინ წასულიყო. შიშობენ, აშანტიების შესევას ახალშენის მიწა-ადგილებში. კუმასის შესახებ კარგს არ მოელოდებიან.

**ლორენცო მარკეზი.** ტრანსვაალის აქაურმა ელჩმა ოფიციალურად გამოაცხადა, რომ ბლუმფონტენი ბურებმა ხელ-ახლა აიღესო.

**პარიჟი.** პალატის ბიურომ განსაკუთრებული კომისია დანიშნა ამნისტიის პროექტის შესასწავლად.

**ვაშინგტონი.** ამერიკის ელჩი ჩინკიანგში დეპეშით იუწყება, რომ ქალაქთან სდგას მრავალი ადგილობრივი მცხოვრები, რომელნიც საიდუმლო საზოგადოებას ეკუთვნიანო. ქალაქში შიშიანობაა.

**პეტერბურგი** 30 მაისი. ბირჟა. 5% გირავნობის ფურცლები ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკისა—98 გაყიდულისა, 4½%—89⅛ გამყიდველისა; 6% გირავნობის ფურცლები ქუთაისის სათ. აზნ. ბანკისა—102 გაყიდულისა, 5%—99 გაყიდულისა.


# განცხადებანი



## რა უპირატესობა აქვს სხვა საზოგადოებასთან შედარებით ნიუ-იორკის საზოგადოებაში სიცოცხლის დაზღვევას?

ის, რომ ეს საზოგადოება ერთი უდიდესთაგანია და სანდოა დედამიწაზედ.

ის, რომ იმისი აქტივი 416,773,000 მანეთს აღემატება.

ის, რომ „ნიუ-იორკის“ საზოგადოება საურთი-ერთოა და იმისი თანხები და მოგებანი დაზღვეულთა საკუთრებას შეადგენს.

ის, რომ „ნიუ-იორკს“ საპატიო წარსული აქვს, 54 წელიწადი არსებობს, რომლის განმავლობაშიაც იმის საფინანსო ძალა და წარმატება პროგრესიულად იზრდება,

ის, რომ იმის პოლისები ნაღდი და ეჭვ შეუტანელია, თუ პრემია თავისს დროზედ იქმნება მეტანილი, საზოგადოება დაუყოვნებლივ და უდავოდ იხდის დაზღვევის გადასახადს და, ამ რიგად, დამზღვევს სრული იმედი უნდა ჰქონდეს, რომ იმისი ქვრივი და შვილები ანუ კანონიერი მემკვიდრენი უდავოდ მიიღებენ თანხას.

ის, რომ იმისი პოლისი სამის წლის შემდეგ დაურღვეველი ხდება იმ შემთხვევაში, თუ შეჩერებულ იქმნა პრემიების გადახდა, დაზღვევის წინ-ნდელი თანხა მაინცა რჩება რამდენისამე წლის განმავლობაში უხარჯოთ, ანუ დამზღვევს შეუძლიან მიიღოს დაკლებულის ფასით სრულად ფას-გარდახდილი პოლისი იმავე პირობებით, რა პირობებითაც პირველი პოლისი იყო, ანუ, დასასრულ, შეუძლიან ნაღდ ფულად მიიღოს პოლისის ფასი.

ის, რომ თუ პოლისი ძალაში იქმნება სამი წლის განმავლობაში მაინც, დამზღვევს შეუძლიან მიიღოს საზოგადოებისაგან სესხი წლიურის 6%-საგან.

ის, რომ „ნიუ-იორკის“ საზოგადოება ისეთს პოლისსაც იძლევა, რომლის ძალითაც, დაზღვეულის თანხის გარდახდის გარდა, მემკვიდრეებს დაუბრუნდებათ დაზღვევისათვის შეტანილი ყველა პრემია იმ შემთხვევაში, თუ დამზღვევი გარდაიცვლება ხელ-შეკრულობით დადებულ ვადის—10, 15 ან 20 წლის,—განმავლობაში.

ის, რომ „ნიუ იორკის“ საზოგადოებას სამუდამო წინდად შეტანილ 500,000 მანეთის გარდა, საპრემიო ფული რუსეთში დაზღვეულთა დასაკმაყოფილებლად შეაქვს სახელმწიფო ბანკში. ამ ჟამად განსაკუთრებული ფონდი შენახულის ფულისა „ნიუ-იორკის“ საზოგადოებაში იმ დაზღვეულთა, რომელნიც რუსეთში სცხოვრობენ, 9,053,000 მანეთს აღემატება.

ის, რომ „ნიუ-იორკის საზოგადოების მოქმედება რუსეთში რუსეთის მთავრობის კონტროლის ქვეშ იმყოფება, ასე რომ პოლისები ყოველის მხრით უზრუნველ ყოფილია.

ის, რომ ყველა დასახელებულ პირობათა გამო, „ნიუ-იორკის“ საზოგადოების პოლისი არც ხარჯს შეადგენს და არც მეტ რასმეს დამზღვევისათვის: იგი საუკეთესო ქონებაა, რომელიც ყველას შეუძლიან დაუტოვოს თავისს ოჯახს, რადგანაც იგი შეიძლება ფულად იქმნას გარდაქცეული და ისეთ დაბრკოლებას აცილებულია, როგორიც მიწის ან უძრავ ქონების რეალიზაციის დროს ხდება, და აგრეთვე ბირჟის ცვალებადობას არ ექვემდებარება.

ის, რომ „ნიუ-იორკის“ საზოგადოება ერთად ერთი დაწესებულებაა, რომელიც აზღვევს სიცოცხლეს ყველა ზემოდ დასახელებულ უპირატესობით.

მთავარი გამგეობა რუსეთისათვის: პეტერბურგი, მალაია მორსკაია, 12.

საზოგადოების საქმეთა მთავარი გამგე რუსეთში პ. პ. მელლერია.

განყოფილება ტფილისში: გოლოვინის პროსპექტი, ახალი სახლი არაფელოვისა (კადეტთა კორპუსის პირდაპირ)

(12—50—7)


Дозволено цензурою. Тифлисъ, 31-го Мая 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხანაგობისა. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე.